

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“

## ნინო გაგნიაშვილი

მოდულირებული სორბენტების შერჩევა ქრომის, თუთიის, ტყვიის და  
კადმიუმისგან ზედაპირული წყლების გასაწმენდად

ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი  
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი ახალბედაშვილი  
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2024

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Exact and Natural Sciences

Doctoral Program: Chemistry

**Nino Gagniashvili**

**Selection of Modified Sorbents for Cleaning Surface Waters from Chromium,  
Zinc, Lead and Cadmium**

The thesis work is performed to obtain a PhD academic degree in Chemistry

Scientific Supervisor: Lali Akhalbedashvili  
Doctor of Chemical Sciences

Tbilisi  
2024

უპირველეს ყოვლისა, ავტორი გულითად მადლობას უხდის დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორ ლალი ახალბედაშვილს, ხელმძღვანელობისა და იდეების გულუხვად გაზიარებისთვის. კვლევის პროცესში გაწეული თანადგომისთვის ავტორი მადლობას უხდის თსუ-ს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორს, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ რევაზ კვატაშიძეს, ამავე ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრ „გეოანალიტიკას“ ხელმძღვანელს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორ გულნარა თოდრაძეს.

ლაბორატორიულ კვლევებში გაწეული კონსულტაციებისთვის ავტორი მადლობას უხდის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორ ნათელა ლორიასა და საგამოცდო ცენტრ „გეოანალიტიკას“ მეცნიერ თანამშრომლებს: ნონა ჯანაშვილსა და სოფიო ჯალაღანიას.

და ბოლოს, ავტორი მადლობელია მშობლების, დისა და ყველა მეგობრის ღირსეული მხარდაჭერისთვის და წახალისებისათვის.

## აბსტრაქტი

ჩამდინარე წყლები საფრთხეს უქმნის გარემოს, როდესაც ის შეიცავს მძიმე მეტალებს ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს. სამრეწველო წყლებში აღმოჩენილ მძიმე მეტალებს შორისაა ისეთი ტოქსიკური მეტალების იონები როგორცაა: Pb(II), Cd(II), Zn(II) და Cr(VI).

ამ სადოქტორო კვლევაში შესწავლილია ქართული ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის პოტენციალი, როგორც დაბალი ღირებულების, ეკომეგობრული ადსორბენტის, წყალხსნარებიდან ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (IV) მოსაცილებლად, სხვადასხვა ექსპერიმენტულ გარემოში. განხორციელდა საწყისი და მოდიფიცირებული მორდენიტის სტრუქტურული კვლევა : რენტგენის დიფრაქციული (XRD), მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი შეუღლებული ენერჯის დისპერსიულ სპექტროსკოპთან (SEM-EDS), რენტგენო ფლუორესცენტული (XRF) და ფურიე გარდაქმნის ინფრაწითელი (FT-IR) მეთოდების გამოყენებით. შესწავლილ იქნა ადსორბციის დამოკიდებულება შემდეგ პარამეტრებზე: ხსნარის pH, ტემპერატურა, ადსორბენტის დოზა და აღნიშნული მძიმე მეტალების იონების საწყისი კონცენტრაცია. ოპტიმიზაციის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადსორბენტის მაღალი შემცველობა და მეტალთა იონების დაბალი კონცენტრაცია ზრდის სორბციის სიდიდეს. ოპტიმალური pH აღმოჩნდა 6-8. სორბციის უნარი გაიზარდა pH-ის მატებასთან ერთად.

ადსორბციის მონაცემების მოდელირებისთვის გამოყენებულია ლენგმიურისა და ფროინდლიხის-ის იზოთერმის მოდელები. კვლევებმა აჩვენა, რომ კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობებს (R) შესაბამისად, საუკეთესოდ მიესადაგებოდა ლენგმიურის იზოთერმი. მაქსიმალური ადსორბციული ტევადობა არის 13,9 მგ/გ, 0,84მგ/გ, 118,92მგ/გ და 2,25 მგ/გ ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (IV) იონებისთვის შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია ლენგმიურის იზოთერმით.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ქართული მორდენიტი, როგორც ბუნებრივი, ასევე მოდიფიცირებული ფორმებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას წყალხსნარებიდან ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა (II) და ქრომის (IV) იონების მოსაშორებლად.

## Abstract

Wastewater poses a threat to the environment when it contains heavy metals in amounts that exceed the requirements of the World Health Organization. Heavy metals found in industrial waters include such toxic metal ions as: Pb(II), Cd(II), Zn(II) and Cr(VI).

In this doctoral research studied, the potential of Georgian natural and modified mordenite as a low-cost, eco-friendly adsorbent for the removal of lead (II), cadmium (II), zinc (II) and chromium (IV) ions from aqueous solutions in different experimental environments. The initial and modified mordenite structural research was carried out using XRD, SEM-EDS, XRF, FT-IR methods. The dependence of adsorption on the following parameters was studied: solution pH, temperature, adsorbent dose and initial concentration of the mentioned heavy metal ions. The results of the optimization study showed that a high content of adsorbent and a low concentration of metal ions increase the amount of sorption. The optimum pH was found to be 6-8. Sorption capacity increased with increasing pH.

Langmuir and Freundlich isotherm models are used to model adsorption data. Studies have shown that the values of the correlation coefficient (R), respectively, were best fitted by the Langmuir isotherm. The maximum adsorption capacities are 13.9 mg/g, 0.84 mg/g, 118.92 mg/g and 2.25 mg/g for lead (II), cadmium (II), zinc (II) and chromium (IV) ions accordingly, as described by the Langmuir isotherm.

The research results show that Georgian mordenite, both in natural and modified forms, can be used to remove lead (II), cadmium (II), zinc (II) and chromium (IV) ions from aqueous solutions.

## სარჩევი

შესავალი .....	8
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	12
1.1 ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიები.....	12
1.1.1 ქიმიური მეთოდები.....	12
1.1.2 ფიზიკური მეთოდები .....	12
1.1.3 ბიოლოგიური მეთოდები .....	14
1.2 ჩამდინარე წყლების მახასიათებლები.....	14
1.2.1 მძიმე მეტალებით დაბინძურება .....	17
1.3 ადსორბციული, იონმიმოცვლითი და დესორბციული პროცესები.....	18
1.3.1 ადსორბცია.....	18
1.3.2 ფიზიკური და ქიმიური ადსორბცია .....	19
1.3.3 იონმიმოცვლა .....	21
1.3.4 დესორბციული პროცესები .....	23
1.4 ცეოლითების ზოგადი დახასიათება.....	25
1.4.1. მორდენიტის სტრუქტურა, კატიონების ლოკალიზაცია .....	28
1.4.2 ბუნებრივი ცეოლითების მოდიფიცირების მეთოდები.....	30
1.4.3. მძიმე მეტალების ადსორბცია ცეოლითების მეშვეობით .....	31
თავი II. მატერია და მეთოდები.....	34
2.1 მორდენიტის მომზადება.....	34
2.1.1 მეტალის მოდელური ხსნარების მომზადება.....	34
2.1.2 მეტალების განსაზღვრა.....	34
2.2 სორბენტების დახასიათება .....	36
2.3 ექსპერიმენტული პროცედურა .....	37
თავი III შედეგები და განსჯა .....	42
3.1 ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის დახასიათება.....	43
3.2 ადსორბციის შესწავლა.....	53
3.2.1. კონტაქტის დროისა და კონცენტრაციის გავლენა .....	53
3.2.2. ადსორბენტის მასის გავლენა .....	60
3.2.3. საწყისი ხსნარის pH-ის გავლენა ადსორბციაზე.....	62
3.2.4. ხსნარის ტემპერატურის გავლენა ადსორბციაზე .....	66

3.3 ადსორბციის თერმოდინამიკული მახასიათებლები .....	68
3.4 ადსორბციის იზოთერმა .....	74
3.5 რეგენერაციის შესწავლა .....	84
თავი IV. დასკვნები .....	89
დანართები .....	91
გამოყენებული ლიტერატურა .....	96

## შესავალი

**აქტუალობა.** გარემოს დამცველები და სამთავრობო სააგენტოები, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალური მასშტაბით, შემფოთებულები არიან ცოცხალი ორგანიზმების მძიმე მეტალებით მოწამვლასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკებით და ხაზს უსვამენ მუდმივი კვლევის საჭიროებას, რომელიც მიზნად ისახავს ებრძოლოს ტოქსიკური მეტალებით გარემოს დაბინძურების პრობლემებს. ინდუსტრიულმა ზრდამ გამოიწვია ბუნებრივად წარმოქმნილი მეტალების დონის მნიშვნელოვანი მატება, ამჟამადაც მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა.

გარემოს დაბინძურება მძიმე მეტალებით არის მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემა, მათი ტოქსიკურობისა და ჯანმრთელობის პოტენციური რისკების გამო. ისინი გვხვდება, გარემოს ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბინძურებლების ჩამონათვალში. სოფლის მეურნეობა და მდაროები რჩება ქიმიური დაბინძურების მთავარ წყაროდ. სოფლის მეურნეობაში სასუქებს, პესტიციდებსა და ფუნგიციდებს გადაჭარბებულად იყენებენ. წყლის ობიექტებში უარესდება წყლის ხარისხი საყოფაცხოვრებო, მუნიციპალური, სამრეწველო, სამთო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამო. წარმოებიდან გარემოში გაფრქვეული მძიმე მეტალები აბინძურებს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის რესურსებს, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ჩამდინარე წყლების გაწმენდის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, რომლებიც შეგვიძლია სამ ძირითად კლასად დავყოთ: ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდები. წყლის გაწმენდის ქიმიური ტექნოლოგიები ენერგეტიკულად ძალიან ძვირია, ის დიდ ენერჯიასა და ქიმიკატების ხარჯებს მოიცავს. ქიმიური ტექნოლოგიის გამოყენების შემდეგ დარჩენილი ნარჩენები არ ექვემდებარება ხელმეორედ გამოყენებას, აქტიურად ხდება ფიზიკური მეთოდების გამოყენება, რაც ძირითადად მოიცავს უკუ ოსმოსს, მემბრანულ ფილტრაციასა და ადსორბციას. მემბრანული ფილტრაციის მთავარ ნაკლს მისი მაღალი ღირებულება წარმოადგენს. წყლების გაწმენდის ბიოლოგიური პროცესი გულისხმობს გახსნილი და შეტივანარებული ორგანული ნაერთების მოცილებას, ბუნებრივი მიკროორგანიზმების გამოყენებით. გარკვეული ტექნიკური შეზღუდვების გამო, მათი გამოყენება გამკაცრებულია. პროცესი შრომატევადია და მოითხოვს დიდ სამუშაო ტერიტორიას. უამრავი ლიტერატურული მონაცემი ადასტურებს, რომ ადსორბცია და იონმიმოცვლა არის წყლების გაწმენდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყურადღებო ალტერნატიული მეთოდი. სათანადო ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავებით შესაძლებელია ჩამდინარე წყლების

მაღალი ხარისხით გაწმენდა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ იაფი ნედლეულის შერჩევა. მძიმე მეტალებისგან გასაწმენდად ადსორბცია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტექნოლოგიად სხვა მეთოდებთან შედარებით მისი დაბალი ღირებულების, უხვი ხელმისაწვდომობის, შთანთქმის მაღალი ხარისხის, მუშაობის მარტივი რეჟიმისა და ბიოდეგრადირების გამო. უფრო მეტიც, მას შეუძლია გაასუფთაოს მაღალი კონცენტრაციის დაბინძურებული ხსნარები და წარმოქმნილი ტოქსიკური ნარჩენებიც მინიმალურია. აქედან გამომდინარე, ადსორბცია შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ეფექტურ საშუალებად ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის. ამ კვლევაში „ადსორბცია“ და „იონმიმოცვლა“ გამოიყენება ერთდროულად, რადგან მძიმე მეტალების მოცილება ხსნარიდან დაკავშირებულია როგორც იონმიმოცვლით, ასევე ადსორბციულ პროცესებთან.

დღეისათვის ჩამდინარე წყლების გაწმენდა მძიმე მეტალებისგან ადსორბციული პროცესების გამოყენებით ითვლება მარტივ, იაფ და ეფექტურ მეთოდად. ამ ხერხის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სორბენტის ბუნებაზე. ამ მხრივ აღიარებულია ბუნებრივი ცეოლითები, პირველ რიგში კლინოპტილოლითი და მორდენიტი, რომლებიც გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე და ხელმისაწვდომია მსოფლიოს უამრავ ნაწილში. სხვადასხვა ტიპის ცეოლითებს განსხვავებული ადსორბციული ტევადობა გააჩნიათ. მორდენიტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გამოყენებადი ცეოლითია, მისი უნიკალური ადსორბციული და კატიონმიმოცვლითი თვისებების გამო. მორდენიტს აქვს საკმაოდ დაბალი Si/Al თანაფარდობა (5:1), რაც იწვევს ტყვიის იონების მაღალი ხარისხით ადსორბირებას. მაგრამ მძიმე მეტალების იონების სორბციის შესწავლა მორდენიტის გამოყენებით ძალიან იშვიათია. მორდენიტის მაღალი შემცველობა საშუალებას გვაძლევს დავაყენოთ მისი ფართო გამოყენების საკითხი, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სინთეზური ცეოლითების წარმოება, მათი შესყიდვა კი საკმაოდ ძვირია.

წყლის სისტემებში მძიმე მეტალების დაბინძურების ხარისხის შემცირება გლობალური გამოწვევაა. დაბინძურების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია ჩამდინარე წყლებში. აუცილებელია მუნიციპალიტეტისა და მრეწველობისგან გამოყოფილი ჩამდინარე წყალი გაწმენდის შემდეგ მოხვდეს გარემოში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია, რომ კასპიის და შავი ზღვის ზოგიერთი მდინარის კონკრეტულ ნაწილში მძიმე მეტალების კონცენტრაცია აღემატება დასაშვებ ნორმებს. წყლის ხარისხზე პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა: სამთო მრეწველობა, კვებისა და ნავთობის წარმოება, არასტანდარტული და უკანონო ნაგავსაყრელები, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და ა.შ. დაბინძურების ყველაზე დიდი წყარო ჩამდინარე მუნიციპალური წყლებია, რომლებიც აბინძურებს მდინარეებს. უმეტეს დასახლებაში არ არსებობს წყლის

გამწმენდი ნაგებობები, ხოლო ის რაც ფუნქციონირებს წმენდს მხოლოდ მექანიკურად. შესაბამისად გარემოსა და ადამიანისთვის განსაკუთრებულად საშიში მძიმე მეტალები პირდაპირ გაედინება გარემოში გამწმენდი ნაგებობების გვერდის ავლით. მძიმე მეტალები აღიარებულია ტოქსიკურ ელემენტებად და მათი არსებობა წყლის სისტემებში მავნე გავლენას ახდენს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე ეკოსისტემაზე, რადგან მათ აქვთ ბიოდეგრადირების უნარი და იწვევენ უამრავ დაავადებას. Pb, Zn, Cd და Cr ეს ის ფართოდ გავრცელებული მეტალებია, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში გროვდება და ხელს უშლის მის სრულყოფილ ფუნქციონირებას. როგორც წესი, პატარა ორგანიზმებს ჭამენ დიდი ცოცხალი ორგანიზმები, შესაბამისად მძიმე მეტალები უფრო მაღალი კონცენტრაციით გროვდება დიდ ცოცხალ ორგანიზმში. გამოდის რომ, კვებითი ჯაჭვის მეშვეობით ყველაზე მაღალი ხარისხით მძიმე მეტალები ბიოაკუმულირდება ადამიანის ორგანიზმში.

წყლების ეფექტური გაწმენდისათვის მნიშვნელოვანია, რომ გარემოში არ დარჩეს ქიმიური ნარჩენი. შესაბამისად მოხდება ადსორბენტების სათანადო დამუშავება მათი ხელმეორედ გამოყენების მიზნით. მსოფლიოში არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყო შთანთქმული მძიმე მეტალების დესორბციის შესწავლა.

ადსორბენტი - მეტალის იონი წარმოადგენს ერთ ერთ ურთულეს წონასწორულ სისტემას. მათი სრულყოფილად დახასიათებისთვის საჭიროა მონაცემები როგორც ადსორბენტების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების, ასევე მათი სორბციული და კომპლექსწარმოქმნის უნარის შესახებ. ამის გარეშე გართულდება ბუნებრივ წყლებში მძიმე მეტალების იონების ფაზათა შორის განაწილების კანონზომიერებების დადგენა.

კვლევის მთავარი მიზანია ეფექტური, მდგრადი, ხელმისაწვდომი და ეკოლოგიურად სუფთა ადსორბენტების მიღება და შესწავლა, როგორც ეფექტური გზა ჩამდინარე წყლების მძიმე მეტალებისგან გასაწმენდად. შეფასდა მორდენიტის ეფექტურობა 4 განსაკუთრებით ტოქსიკური მძიმე მეტალის მიმართ Pb(II), Cd(II), Zn(II) და Cr(VI). სპეციფიური სორბენტის შექმნა დღეისთვის დიდი გამოწვევაა, მნიშვნელოვანია დადგინდეს ოპტიმალური დრო, ტემპერატურა და ა.შ. სამომავლო კომერციული მასშტაბის წარმოებისთვის დაკვირვებით უნდა გაანალიზდეს აღნიშნული პროცესები, რათა სორბციის პროცესმა მაქსიმალური დადებითი შედეგი გამოიღოს.

**სამეცნიერო სიახლე.** ამ სადოქტორო კვლევაში მოხდა პრაქტიკულად შეუსწავლელი ქართული მინერალური ნედლეულის-მორდენიტის მოდიფიცირება და მათი სრული ფიზიკურ-ქიმიური კვლევა. პირველად გაანგარიშდა მძიმე

მეტალი/მორდენიტი ადსორბციული სისტემისათვის კინეტიკური და თერმოდინამიკური მახასიათებლები;

მიღებული შედეგების გაანალიზება და ინტერპრეტირება სადოქტორო ნაშრომის საბოლოო უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს. კვლევის დასრულებისას შეჯამდა დაკვირვებები, შეფასდა მათი სანდოობა, მონაცემები შედარდა და ჩამოყალიბდა შესაბამისი დასკვნები.

**სამეცნიერო პუბლიკაციები.** სადისერტაციო კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატიის (ერთი Clarivate Analytics Web of Science კლასიფიკატორის მიხედვით დადებით იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, ორი საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში) და 6 საერთაშორისო კონფერენციების თეზისების სახით.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისგან, ოთხი თავისგან, დანართებისგან და 87 ციტირებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულებასა და თსუ-ს ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრ „გეოანალიტიკა“-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზების ხარჯზე.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1 ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიები

წყლის დაბინძურებასთან ბრძოლის აუცილებელი პირობაა ჩამდინარე წყლების გაწმენდა. ჩამდინარე წყლების გაწმენდის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, რომლებიც შეგვიძლია სამ ძირითად მეთოდად დავყოთ: ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური.

#### 1.1.1 ქიმიური მეთოდები

წყლის ქიმიური გაწმენდისათვის საჭიროა მრავალი ქიმიური ნივთიერების გამოყენება, რაც მოიცავს ტუტე აგენტების, მჟავა აგენტების და ძლიერი ოქსიდანტების დამატებას. ასევე აქტიურად გამოიყენება ქიმიური დალექვის მეთოდები: კოაგულაცია, ფლოტაცია და ელექტროქიმიური მეთოდები (Fu & Wang, 2011). წყლის გაწმენდის ქიმიური ტექნოლოგიები სწრაფი და ეფექტურია, მაგრამ ასევე ენერგეტიკულად ძალიან ძვირია, ის დიდ ენერჯიასა და ქიმიკატების ხარჯვას მოითხოვს. ქიმიური ტექნოლოგიის გამოყენების შემდეგ დარჩენილი ნარჩენები არ ექვემდებარება ხელმეორედ გამოყენებას, საჭიროა მათი განადგურება, რაც ქმნის მეორადი დაბინძურების პრობლემას. წარმოდგენილი მეთოდების ნაკლოვანებები და უპირატესობები შეჯამებულია ცხრილში 1.1.

#### 1.1.2 ფიზიკური მეთოდები

აქტიურად ხდება ფიზიკური მეთოდების გამოყენება, რაც ძირითადად მოიცავს რევერსულ ოსმოსს, მემბრანულ ფილტრაციასა და ადსორბციას. მემბრანული ფილტრაციის მთავარ ნაკლს მისი მაღალი ღირებულება წარმოადგენს. მეტიც, მას აქვს შეზღუდული სიცოცხლის უნარიანობა, მისი გარსის მალეფუჭებადობის გამო. რევერსული ოსმოსი არის ერთ-ერთი პოპულარული მეთოდი, რომელსაც შეუძლია წყლის გასუფთავება ფართო სპექტრის დამაბინძურებლებისგან. ის სამ ძირითად საფეხურს მოიცავს: შეწოვა მემბრანის ზედაპირზე, დიფუზია მემბრანის სისქის მეშვეობით და დესორბცია მემბრანის გაჟღენთილი ზედაპირიდან (Greenlee et al., 2009).

უამრავი ლიტერატურული მონაცემი ადასტურებს, რომ ადსორბცია არის წყლების გაწმენდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდი. ეს არის მიმზიდველი ალტერნატიული ტექნოლოგია, რომლის შემუშავებით შესაძლებელია ჩამდინარე წყლების მაღალი ხარისხით გაწმენდა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ იაფი ნედლეულის შერჩევა. აქედან გამომდინარე ადსორბცია შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურ საშუალებად ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის (Dąbrowski, 2001).

ცხრილი 1.1 ფიზიკური და ქიმიური მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები (Kurniawan et al., 2006; Mohammadi et al., 2004)

მეთოდები	უპირატესობები	უარყოფითი მხარეები
მემბრანული ფილტრაცია	შეუძლია ყველა კლასის საღებავის გაუფერულება	შეუძლებელია ფართო მასშტაბით გამოყენება, მაღალი ღირებულება აქვს
იონმიმოცვლა	ოპერატიული, დანაკარგის გარეშე	არ არის ეფექტური საღებავების გაწმენდისთვის
ოზონაცია	გამოიყენება აირებისთვის	მოკლე სიცოცხლისუნარიანობა, დამხმარე ქიმიკატები, მაღალი ღირებულებისაა
დაჟანგვა	სწრაფი და სრულყოფილი მეთოდი	ქიმიური მალალი საჭიროებები, ენერგეტიკული ღირებულებისაა
კოაგულანტები/ფლოკოკულანტები	მარტივი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი	წარმოქმნის დიდი რაოდენობით შლამს და მოითხოვს დიდი რაოდენობით ქიმიურ ნივთიერებებს pH-ის რეგულირებისათვის
ადსორბცია აქტივირებულ ნახშირზე	ეფექტური, მაღალი ტევადობა	რეგენერაცია ძვირია, ადსორბენტის დანაკარგი, არაეფექტურია ფერადი საღებავების წინააღმდეგ
ფოტოქიმია	არ ხდება შლამის და სუნის წარმოქმნა	მეორადი დამაბინძურებელი
ელექტროლიზი	მაღალი ხარისხი ფერის მოსაცილებლად	წარმოქმნის არასასურველ პროდუქტებს, რომლებიც გამოუყენებელია ფართომასშტაბიანი სამუშაოსთვის
ფენტონის რეაგენტები	ეფექტურად აუფერულებს ხსნად და უხსნად	წარმოქმნის შლამებს

საღებავებს	
აქტივირებული ნახშირი	კარგი ელიმინატორი ძალიან მაღალი ღირებულება საღებავებისთვის
ელექტროკინეტიკური კოაგულაცია	ეკონომიკურად მისაღები წარმოქმნის დიდი რაოდენობით შლამს
ელექტრო დიალიზი	მაღალი შერჩევადობა მაღალი ენერგეტიკული ღირებულება
ქიმიური დალექვა	მარტივი მეთოდი, დაბალი ღირებულება შლამის წარმოქმნა, მეორადი დაბინძურება
ადსორბცია	მაღალი შთანქმის ადსორბენტი მოითხოვს პროცენტი რეგენერაციას ან განთავსებას

### 1.1.3 ბიოლოგიური მეთოდები

წყლების გაწმენდის ბიოლოგიური პროცესი, გულისხმობს გახსნილი და შეტევნარებული ორგანული ნაერთების მოცილებას, ბუნებრივი მიკროორგანიზმების გამოყენებით. ბიოლოგიური ტექნიკა, რომელიც მოიცავს დამაბინძურებლების მიკრობულ დეგრადაციას, ხშირად გამოიყენება ჩამდინარე წყლების გასუფთავებისათვის. გარკვეული ტექნიკური შეზღუდვების გამო, მათი გამოყენება გამკაცრებულია. პროცესი შრომატევადია და მოითხოვს დიდ სამუშაო ტერიტორიას (İşik & Sponza, 2006).

### 1.2 ჩამდინარე წყლების მახასიათებლები

სუფთა და უსაფრთხო წყალი ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ის ეკოსისტემისა და ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირების წინაპირობაა. წყლის ვარგისიანობას სიცოცხლისთვის და ადამიანების საქმიანობისთვის განსაზღვრავს სხვადასხვა ძირითადი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლები. წყლის ხარისხის განსაზღვრა ხდება მისი დანიშნულების მიხედვით. წყლის მახასიათებლები შეიძლება დაიყოს სამ დიდ კატეგორიად:

1. ფიზიკური მახასიათებლები: ტემპერატურა, ფერი, სუნი, სიმღვრივე და შეწონილი ნაწილაკები;
2. ქიმიური მახასიათებლები: ქიმიური შედგენილობა, pH, ელგამტარობა, მინერალიზაცია, სიხისტე, ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება;

3. ბიოლოგიური მახასიათებლები: სპეციფიკური ორგანიზმებისა და ორგანიზმების ჯგუფების რაოდენობა.

ქიმიურად დაბინძურებული წყლის ხანგრძლივი ექსპოზიცია ცოცხალ ორგანიზმებთან იწვევს მავნე ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე. გამოყოფილია წყლის რამდენიმე ქიმიური მახასიათებელი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები. წყლის ძირითადი ქიმიური მახასიათებლები მოკლედ განიხილება ქვემოთ:

**pH:** pH არის წყლის მჟავა ან ტუტე არის განმსაზღვრელი. მას გვიჩვენებს წყალბად იონის კონცენტრაციის უარყოფითი ლოგარითმი. pH-ის მასშტაბი მერყეობს 0-დან (ძლიერი მჟავა) 14-მდე (ძლიერი ტუტე) დიაპაზონში. pH-ის რიცხვითი მნიშვნელობის ერთით მომატებისას, ხდება წყალბად იონების კონცენტრაციის 10-ჯერ შემცირება და შესაბამისად მჟავა არის შესუსტება. მტკნარ წყლებში pH-ის დიაპაზონი ვრცელდება დაახლოებით 4.5-დან (მჟავე ტორფიანი წყლები, 10.0-ზე მეტ (სადაც არის წყალმცენარეების ინტენსიური ფოტოსინთეზური აქტივობა) ზღვრებში. თუმცა ყველაზე ხშირად გვხვდება 6.5-8.0 დიაპაზონში. მეთევზეობისთვის დასაშვებია 5.0-9.0; თუმცა სასურველია 6.5-8.5. pH-ის უკიდურეს წერტილებზე (2 ან 13) ხდება ეგზოზონოზისა და ფარფლების ფიზიკური დაზიანება. pH-ის ცვლილებამ შესაძლოა სხვა ნივთიერებები გადაიყვანოს ურო ტოქსიკურ ფორმაში. ამიაკის ტოქსიკურობა, ქლორის დეზინფექციის ეფექტურობა და მძიმე მეტალების ხსნადობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული pH-ის ცვლილებაზე.

**ელექტროგამტარობა:** წყლის გამტარობა არის ელექტრული დენის გატარების უნარი, მასში გახსნილი მარილების დისოციაციის ხარჯზე. წყალში არსებული ძირითადი კატიონებია: ნატრიუმი ( $\text{Na}^+$ ), კალიუმი ( $\text{K}^+$ ), კალციუმი ( $\text{Ca}^{+2}$ ) და მაგნიუმი ( $\text{Mg}^{+2}$ ). მთავარ ანიონებს მიეკუთვნება: ქლორიდი ( $\text{Cl}^-$ ), სულფატი ( $\text{SO}_4^{-2}$ ), კარბონატი ( $\text{CO}_3^{-2}$ ) და ჰიდროკარბონატი ( $\text{HCO}_3^-$ ). ნიტრატებს ( $\text{NO}_3^-$ ) და ფოსფატებს ( $\text{PO}_4^{-3}$ ) უმნიშვნელო გავლენა აქვთ ელგამტარობის მნიშვნელობაზე, თუმცა ისინი ძალიან მნიშვნელოვანია ბიოლოგიურად. ელგამტარობა დაბინძურების კუთხით ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია წყლის სიხისტის, ტუტიანობისა და გახსნილი მარილების განსაზღვრისათვის. ელგამტარობა სხვადასხვა ობიექტის წყალში განსხვავებულია: მიწისქვეშა წყალი, სასოფლო-სამეურნეო წყალი, მუნიციპალური ჩამდინარე წყალი, ნალექი. აქედან გამომდინარე, ელგამტარობა შესაძლოა მიუთითებდეს ჩამდინარე წყლების გაჟონვაზე.

**ტუტიანობა:** წყლის ტუტიანობას ძირითადად კარბონატ იონის არსებობა განაპირობებს, რომლებიც ნიადაგიდან ხვდება წყალში. ის ასახავს წყლის ბუფერულ სიმძლავრესა და კარბონატ და ჰიდროკარბონატ იონების შემცველობას. ტუტე მნიშვნელოვანია წყლის ხარისხისათვის, რადგან მას აქვს ბუფერული დაცვა pH-ის სწრაფი ცვლილებისგან. ზედაპირულ წყლებში ტუტიანობის მაღალი დონე ანეიტრალებს მჟავა წვიმებისა და სხვა მჟავა ნარჩენების მავნე ზემოქმედებას. ნაკადულებში ტუტიანობაზე გავლენას ახდენს ქანები და ნიადაგები, გარკვეული ტიპის მცენარეები და ზოგიერთი სამრეწველო ჩამდინარე წყლები. მაგალითად ტბებს დაბალი საკვები ნივთიერებებით აქვთ დაბალი ტუტიანობის ხარისხი, ხოლო მაღალი საკვები ნივთიერებებით მაღალი ტუტიანობა.

**სიხისტე:** სიხისტე არის წყლის ბუნებრივი მახასიათებელი, რომელსაც შეუძლია მისი გემოვნური თვისებების ცვლილება. წყლის სიხისტეს განაპირობებს მასში არსებული კალციუმისა და მაგნიუმის იონების შემცველობები. ძირითადად განარჩევენ სიხისტის ორ ტიპს: დროებითი (კარბონატული) და მუდმივი (არაკარბონატული) სიხისტეები. წყლის დროებითი სიხისტის მოშორება შესაძლებელია მისი ადუღებით.

ტერმინი „ჩამდინარე წყლები“ ნიშნავს ნებისმიერ წყალს, რომლის ხარისხიც შემცირდა ადამიანის საქმიანობიდან გამომდინარე. ჩამდინარე წყლები შედგება როგორც თხევადი, ასევე მყარი ნარჩენებისგან, რომლებიც გამოიყოფა საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებიდან. ჩამდინარე წყლები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც სახიფათო ან არასაშიში. მრავალი ტიპის დამაბინძურებელს შევხვდებით ჩამდინარე წყლებში.

ჩამდინარე წყლების დამაბინძურებლებს, როგორც წესი, წარმოადგენს ორგანული და არაორგანული ნაერთების კომპლექსური ნარევი. ჩამდინარე წყლებში ნაპოვნი მძიმე მეტალების უმეტესობა არაორგანული ფორმითაა. თუმცა ზოგიერთ ინდუსტრიაში, როგორცაა ტექსტილი და საღებავები, მძიმე მეტალები გვხვდება ორგანულ ფორმაში. შესაბამისად, ამ ორი ფორმისათვის გაწმენდის მეთოდებიც განსხვავებულია.

შემუშავებულია ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებლების კონცენტრაციის შეფასების მრავალი მეთოდი, რომელთა გამოყენება არ საჭიროებს კონკრეტული ჩამდინარე წყლების ქიმიური შემადგენლობის ცოდნას. ორგანული დამაბინძურებლების ანალიზის ყველაზე გავრცელებული მეთოდია ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნის განსაზღვრა (BOD), გამოიყენება როგორც ჟანგბადის

რაოდენობის საზომი, რომელიც საჭიროა ბიოდეგრადირებადი ორგანული ნივთიერებების დასაჟანგად აერობული ბიოქიმიური მოქმედებით.

### 1.2.1 მძიმე მეტალებით დაბინძურება

მძიმე მეტალების შემცველობა ჩამდინარე წყლებში იზრდება ადამიანის საქმიანობის ზრდასთან ერთად. მაგალითად: ელექტრული მრეწველობა, ბატარეები, პესტიციდები, სამთო მრეწველობა, ტექსტილის მრეწველობა, ნავთობქიმიკატები, ქაღალდის წარმოება და ელექტროლიზის გამოყენება. მძიმე მეტალები არ არის ბიოდეგრადირებადი (El-Sherif et al., 2013) და შესაძლოა იყოს კანცეროგენებიც (Qasem et al., 2021; Zou et al., 2016), შესაბამისად მძიმე მეტალების მაღალმა შემცველობამ ჩამდინარე წყლებში შესაძლოა გამოიწვიოს ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. ყველაზე გავრცელებულ მძიმე მეტალებს შორისაა ტყვია(Pb), თუთია(Zn), კადმიუმი(Cd) და ქრომი(Cr). ზოგიერთი მეტალის ძალიან მცირე შემცველობამაც კი შესაძლოა სახიფათო გავლენა იქონიოს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ცხრილი 1.2 აჯამებს ზემოხსენებული 4 მძიმე მეტალის ძირითად წყაროებს, მოყვანილია ჯანმრთელობაზე ზემოქმედება და სასმელ წყალში მათი დასაშვები ნორმები.

**ცხრილი 1.2. ჩამდინარე წყლებში არსებული მეტალების ( Pb, Zn, Cd, Cr) გავრცელების წყაროები და მათი გავლენა ჯანმრთელობაზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების მიხედვით (Demiral et al., 2021)**

მძიმე მეტალი	ძირითადი წყაროები	დაზარალებული სისტემები და ორგანოები	დასაშვები ნორმები (მკგ/ლ)
<b>ტყვია (Pb)</b>	ტყვიაზე დაფუძნებული ბატარეები, შედუღება, შენადნობები, საკაბელო საფარის პიგმენტები, ჟანგის ინჰიბიტორები, საბრძოლო მასალა, საღებავები, ჭიქურები და პლასტმასის სტაბილიზატორები.	ძვლები, ღვიძლი, თირკმელები, ტვინი, ფილტვები, ელენთა, იმუნური სისტემა, ჰემატოლოგიური სისტემა, გულსისხლძარღვთა სისტემა და რეპროდუქციული სისტემა.	10
<b>თუთია (Zn)</b>	სპილენძის საფარი, რეზინის პროდუქტები,	კუჭის კრუნჩხვები, კანის გაღიზიანება,	3000

	ზოგიერთი კოსმეტიკური საშუალება და აეროზოლური დეოდორანტები.	ღებინება, გულისრევა და ანემია.	
<b>კადმიუმი (Cd)</b>	ბატარეები, საღებავები, ფოლადისა და პლასტმასის მრეწველობა, მეტალურგიული ქარხნები და კოროზირებული გალვანური მილები.	ძვლები, ღვიძლი, თირკმელები, ფილტვები, ტვინი, იმუნური და ღულისისხლძარღვთა სისტემები.	3
<b>ქრომი (Cr)</b>	ფოლადისა და მერქნის ქარხნები, ტანინები, წამლები, კატალიზატორები, ფოტომასალები.	კანი, ფილტვები, თირკმელები, ღვიძლი, ტვინი, პანკრეასი, კუჭნაწლავისა და რეპროდუქციული სისტემები.	50

ამგვარად ზემოთაღნიშნული ოთხივე მძიმე მეტალი სერიოზულ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებისათვის. ყველაზე მეტი ზიანის მომტანია ანთროპოგენური ფაქტორები, რომლებიც იწვევს მძიმე მეტალების გარემოს ობიექტებში მიგრირებას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.


### 1.3 ადსორბციული, იონმიმოცვლითი და დესორბციული პროცესები

#### 1.3.1 ადსორბცია

ადსორბციული ტექნოლოგია ახალია, მაგრამ მისი ფესვები ანტიკური ხანიდან მოდის, როდესაც ეს ტექნიკა გამოიყენებოდა ყოველგვარი დეტალური ცოდნის გარეშე (Donohue & Aranovich, 1998). მეთხუთმეტე საუკუნემდე არ გვხვდება ადსორბციის უფრო ზუსტი აღწერილობა რაც იტალიელმა არქიტექტორმა და მხატვარმა ლეონ ბატისტა ალბერტმა აღწერა თავის წიგნში- L'architettura: „ არ შემძლია უარყო ,რომ ღამის ტენიან ჰაერს იზიდავს დედამიწა ან თვითნებურად ხვდება ფორებში, რომელიც ადვილად შეიძლება კონდენსირდეს“. ეს იყო პირველი ცნობები ადსორბციაზე. ტერმინი „ადსორბციული იზოთერმი“ პირველად გამოიყენა ოსვალდმა 1885 წელს.

ადსორბცია არის ფიზიკური და ქიმიური პროცესი, რომლის დროსაც ნივთიერება (როგორც წესი გაზი ან სითხე) გროვდება მყარ ფაზაში ან ორი ფაზის გამყოფ ზედაპირზე. შთანთქმის ადგილის მიხედვით არსებობს განსხვავება აბსორბციასა და ადსორბციას შორის (სურ 1.1). მოლეკულები ცდილობენ კონცენტრირდნენ ადსორბენტის ზედაპირზე, ვან-დერ-ვაალსის ძალების მეშვეობით.

სორბციული პროცესების გამოკვლევა და ადსორბენტების დახასიათება მოითხოვს ანალიზის მგრძობიარე მეთოდებს, რომლებიც ახლაც ჩამოყალიბების პროცესშია. ყველაზე ფართოდ ადსორბციული პროცესების დახასიათებისთვის გამოიყენება: ატომურ-ადსორბციული სპექტროსკოპია (AAS), თერმოგრავიმეტრული ანალიზი(TGA), დიფერენციალური სკანირების კოლორიმეტრია (DSK), მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია (SEM) და ა.შ.



სურ. 1. 1 ადსორბციის პროცესი - ატომები, იონები ან მოლეკულები განთავსდებიან ადსორბენტის ზედაპირზე, აბსორბციის პროცესი - ატომები, იონები ან მოლეკულები შედიან შთანთქმელი ნივთიერების მოცულობაში.

### 1.3.2 ფიზიკური და ქიმიური ადსორბცია

ადსორბციის პროცესი შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ტიპად: ფიზიკური ადსორბცია (ფიზოსორბცია) და ქიმიური ადსორბცია (ქემოსორბცია).

ფიზიკური ადსორბცია არის უმარტივესი იმობილიზაციის პროცესი, რომლის დროსაც მოლეკულები ემაგრება ზედაპირს სუსტი კავშირების საშუალებით, როგორცაა: ვანდერ-ვაალსური ძალები, წყალბადური ბმები და ჰიდროფობული ურთიერთქმედებები(Grieshaber et al., 2008). ფიზიკური სორბცია ხდება სითხისა და მყარი ზედაპირის შეხების შედეგად. გაზომვები ხორციელდება სხვადასხვა კარგად შემუშავებული ტექნიკის გამოყენებით და ინტერპრეტირებულია თანამედროვე დახვეწილი მეთოდების საშუალებით. ფიზოსორბციული ექსპერიმენტებით დგინდება თერმოდინამიკური წონასწორობა სითხესა და ადსორბირებულ ფაზას

შორის(Hammond & Conner, 2013). ფიზოსორბცია მარტივი პროცესია, მაგრამ ხშირად განიცდის გარკვეულ წილად შექცევადობას. შესაბამისი მეთოდების გამოყენებით შეიძლება მარტივად მოხდეს ადსორბენტის რეგენერაცია და მისი შემდგომი გამოყენება დესორბციული პროცესების გამოყენებით. ადსორბციაში, როგორც წესი, ხშირია ძლიერი ურთიერთქმედება ჰიდროფობიურ ჯგუფებსა და მემბრანის ზედაპირს შორის(Xia et al., 2019).

ადსორბციის მექანიზმი ხშირად ფიზიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ შეიძლება იყოს ქიმიურიც. ფიზოსორბციასა და ქემოსორბციას შორის განსხვავებები მოცემულია ცხრილში 1.3.

ცხრილი 1.3. ფიზიკური და ქიმიური ადსორბციის მახასიათებლები.

თვისებები	ფიზიკური სორბცია	ქემოსორბცია
ბმის ენერგია	ვან-დერ ვალსური	ქიმიური ბმის მსგავსი
ადსორციის სითბური ეფექტი	ნაკლებია, 10-40 კჯ მოლი <sup>-1</sup>	მეტია, 20-100 კჯ მოლი <sup>-1</sup>
ქიმიური ცვლილება	არ აღინიშნება	ნაერთის წარმოქმნა ზედაპირზე
შექცევადობა	სრულიად შექცევადი, ე.ი. შესაძლებელია ადსორბატის დესორბცია	პროცესი შეუქცევადია, დესორბციული ნაერთი განსხვავებულია ადსორბციულისგან
აქტივაციის ენერგია	ძალიან დაბალია (ახლოსაა ნულთან)	მაღალია, მსგავსია ქიმიური რეაქციების
ტემპერატურის გავლენა	უარყოფითი	გარკვეულწილად ტემპერატურა დადებითია, ე.წ. გააქტივებული ადსორბცია
ადსორბატ-ადსორბენტის ურთიერთქმედება	ძალიან დაბალია	მაღალია

ქიმიური ადსორბცია, ასევე ცნობილი როგორც ქემოსორბცია, მყარდება ადსორბენტსა და ადსორბატს შორის ძლიერი ქიმიური კავშირების გავლენის ქვეშ, როგორცაა იონური ან კოვალენტური ბმები. შესაბამისად, ქემოსორბცია შესაძლოა შეუქცევადი პროცესი იყოს და მოითხოვდეს მაღალ ენერგიას რეგენერაციისთვის. ქემოსორბცია მყარდება ძალიან მაღალ ტემპერატურაზე და ადსორბციის ენერგიაა 200-400 კჯ/მოლი. აქტივაციის ენერგია როგორც წესი ძალიან მაღალია მაღალი წნევის დროს. შედეგად ადსორბენტის ზედაპირზე მიიღება ადსორბატის მონო შრე. ქემოსორბციაზე გავლენას ახდენს ისეთი პარამეტრები როგორცაა: pH, კონტაქტის დრო და სიჩქარე, ნაწილაკების ზომები, საწყისი კონცენტრაცია, ტემპერატურა და იონმიმოცვლითი ტევადობა. თითოეული პარამეტრი გავლენას ახდენს ადსორბციის პროცესზე და ადსორბციის სიჩქარის განმსაზღვრელი ფაქტორია.

მძიმე მეტალებისგან გასაწმენდად, ადსორბცია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტექნოლოგიად სხვა მეთოდებთან შედარებით მისი დაბალი ღირებულების, უხვი ხელმისაწვდომობის, შთანთქმის მაღალი ხარისხის, მუშაობის მარტივი რეჟიმისა და ბიოდეგრადირების გამო. უფრო მეტიც, მას შეუძლია გაასუფთაოს მაღალი კონცენტრაციის დაბინძურებული ხსნარები და წარმოქმნილი ტოქსიკური ნარჩენებიც მინიმალურია(CRINI, 2006).


### 1.3.3 იონმიმოცვლა

პირველი ციტირება იონების მიმოცვლის პროცესზე, შეგვიძლია ვნახოთ არისტოტელეს შრომებში, მაგრამ პირველად იონმიმოცვლის პროცესი ჩატარდა 1850 წელს. კვლევის მიზანი იყო ამონიუმის სულფატის ნიადაგში გადატანა. აღმოჩნდა რომ შეგროვებული ფილტრატი შეიცავდა კალიუმის სულფატს ამონიუმის სულფატის ნაცვლად. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა (იონმიმოცვლის თვალსაზრისით) კარგად არ იყო გააზრებული იმ პერიოდისთვის. მოგვიანებით გაირკვა რომ ეს პროცესი შექცევადი იყო და აქტიურად დაიწყეს ამ უნარის გამოყენება წყლების დასარბილებლად(KELLER 2005 Basic Ion Exchange 1, n.d.).

იონმიმოცვლა არის ქიმიური პროცესი, მაგრამ ადსორბცია, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს ქიმიური ან ფიზიკური. იონმიმოცვლა მიეკუთვნება იონების გაცვლის შექცევად პროცესს მყარ და თხევად ფაზას შორის, რის შედეგადაც მყარი ფაზის სტრუქტურა უცვლელია. როგორც წესი მყარი ფაზა არ უნდა იხსნებოდეს სითხეში იონმიმოცვლითი პროცესების დროს(Grimshaw, 1975). იონმიმოცვლა ფართო გამოყენებას პოვებს ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესში, მას შეუძლია გამოიწვიოს სრული დემინერალიზაცია ერთდროულად კათიონისა და ანიონის მიმოცვლის გზით. ცეოლითების სტრუქტურაში შედიან ისეთი კატიონები,

რომლებიც ადვილად მიმოივლებიან ხსნარში არსებულ სხვა კატიონებთან. ცეოლიტების ეს თვისება გამოყენებულია წყლის დასარბილებლად, ცეოლიტის კარკასში არსებული ნატრიუმისა და კალიუმის იონები მიმოივლებიან წყალში არსებულ „ხისტ“ მაგნიუმთან და კალციუმთან(Álvarez-Ayuso, 2003).

იონმიმოცვლით პროცესში, ადსორბენტის კარკასში არსებული იონი ჩანაცვლდება ადსორბატის იონით. სურ. 1.2-ზე ნაჩვენებია ერთ- და ორვალენტიანი იონების მიმოცვლის მაგალითი. აქ ნათლად ჩანს მუხტის მნიშვნელობები სტექიომეტრიულ



სურ. 1.2. იონ მიმოცვლის მუხტი,  $A^+$ - კარკასში დაბალანსებული კატიონი,  $B^+$ - ერთვალენტიანი იონის მუხტი,  $C^{2+}$ - ორვალენტიანი კატიონის მუხტი.

ოუალიდ ჰამდაუიმ განაცხადა რომ ადსორბციის პროცესიც და იონმიმოცვლა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამასთანავე თითოეულს თავისი გამოყენების სფერო აქვს(Hamdaoui, 2009). ადსორბცია არის პროცესი, რომლის დროსაც ადსორბატი აკუმულირდება საზღვარზე და ეს გამყოფი ზედაპირი შესაძლოა იყოს: თხევადი-თხევადი, მყარი-თხევადი, გაზი-მყარი და გაზი-სითხე.



სადისერტაციო ნაშრომში ტერმინები „ადსორბცია“ და „იონმიმოცვლა“ გამოიყენება ერთდროულად, რადგან მძიმე მეტალების მოცილება ხსნარიდან ასოცირდება როგორც იონმიმოცვლით, ასევე ადსორბციულ პროცესებთან.

#### 1.3.4 დესორბციული პროცესები

ადსორბენტის ადსორბატით გაჯერების შემდეგ გადავდივართ რეგენერაციის ეტაპზე (დესორბცია). ადსორბენტის ეფექტურობას განსაზღვრავს დესორბციის პროცესი, რომელიც აუცილებელია, როგორც ადსორბენტის რეგენერაციისთვის, ასევე ადსორბირებული მეტალის აღდგენისათვის (Cherbański & Molga, 2009). ადსორბცია-დესორბციის პროცესის ძირითადი მექანიზმი წარმოდგენილია სურ. 1.4-ზე.

დესორბციის პროცესი გამოყენება შეიძლება ადსორბციის მექანიზმის დასადგენადაც. ის გვიჩვენებს შეიძლება თუ არა რომ, ადსორბციის პროცესი იყოს შექცევადი წონასწორობის დროს ადსორბციისა და დესორბციის პროცესების სიჩქარის შედარებით (Katsou et al., 2011). მაგალითისთვის, (Mendoza-Barrón et al., 2011) სტატიაში იტყობინებიან, რომ ადსორბცია არ იყო შექცევადი pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებზე, ვინაიდან წონასწორობა დესორბციის საფეხურზე განსხვავდება ადსორბციის იზოთერმისგან. მათემატიკური მოდელები ავსებენ ექსპერიმენტულ კვლევებს ადსორბციული სისტემების დიზაინისა და ადსორბცია/დესორბციის პროცესების დინამიკური ქცევის ოპტიმიზაციისთვის (Taamneh & Al Dwairi, 2013). მათემატიკური მოდელირებისთვის გადამწყვეტია ოპერაციული პარამეტრების განსაზღვრა, როგორცაა: კონტაქტის დრო, მორევის სიჩქარე, pH, საწყისი კონცენტრაცია, ადსორბენტის დოზა, ნაწილაკების ზომა, ნაკადის სიჩქარე და ა.შ. (Batool et al., 2018; Patel, 2022).

სხვადასხვა იზოთერმული მოდელით შესაძლებელია ადსორბციული წონასწორობის მოდელირება. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ლენგმუირის მოდელი ყველაზე კარგად შეესაბამება ცეოლითებზე მძიმე მეტალების ადსორბციის პროცესს (Rakhym et al., 2020). ადსორბციულ/დესორბციული პროცესების მათემატიკური მოდელირება შესაძლებელია ბუნებრივი ცეოლითების მახასიათებლებისა და მოქმედი პარამეტრების ანალიზის მიხედვით.




სურ. 1.4. წყალში ლითონების იონების ადსორბცია-დესორბციის მექანიზმი (Zaimee et al., 2021).

#### 1.4 ცეოლითების ზოგადი დახასიათება

ტერმინი ცეოლითი (ბერძნულად ნიშნავს „მდულარე ქვას“) პირველად გამოიყენა A. F. Crönstedt-მა 1756 წელს. ეს ნანოფოროვანი კრისტალური მასალები დღემდე ფართო გამოყენებას პოვენს კატალიზიდან დაწყებული იონმიმოცვლამდე. ყოველწლიურად ქვეყნდება სინთეზის ახალი მეთოდები. ცეოლითები გვხვდება ბუნებაშიც და შესაძლებელია მათი სინთეზიც, რაც წლების განმავლობაში ასევე დიდ ყურადღებას იქცევდა მთელი რიგი ფაქტორების გამო, რომელიც გავლენას ახდებს მიღებულ პროდუქტზე. ერთ-ერთი მათ შორის არის ორგანული სტრუქტურის აგენტები, ორგანული მოლეკულები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიღებული ცეოლითის სტრუქტურის ტიპზე.

ზოგადად, ცეოლითის დახასიათება შესაძლებელია სამი ძირითადი კომპონენტით: კარკასის ტოპოლოგია, ალუმინის არსებობის გამო მესრის უარყოფითი მუხტის მაკომპენსირებელი კატიონების არსებობა და ცეოლითური წყალი.

ცეოლითური მასალები არის კრისტალური ტექტოსილიკატები, რომელთაც აქვთ ძალიან რთული სამგანზომილებიანი სტრუქტურა. არაორგანული მასალების ამ კლასის თავისებურება ისაა, რომ მათი კრისტალები შედგება  $TO_4$  ტეტრაედრებისაგან, რომლის წვეროებს აკავშირებს ჟანგბად ატომები (Bruce et al., 2010). T წარმოადგენს სამ ან ოთხ ვალენტიან კატიონს, რომელიც ქმნის ცეოლითების შესაძლო კომპოზიციების ფართო სპექტრს, ჩვეულებრივ აღნიშნავს Si და/ან Al. არსებობს ქიმიურად უფრო მრავალფეროვანი მასალები, რომლებშიც სილიციუმი და ალუმინი ჩანაცვლებულია P, Fe და Be. თუმცა, უპირატესობა ენიჭება მასალებს, სადაც სილიციუმის შემცველობა მაღალია, რადგან ისინი ინარჩუნებენ მაღალ თერმულ და ჰიდროთერმულ სტაბილურობას დამუშავების პროცესში (Morris & Cejka, 2015). როგორც მიკროფოროვანი მასალები ცეოლითები შეიცავენ არხებსა და ღრუებს, შესაბამისად ღრუებში არსებული ჭარბი სტრუქტურული მუხტის კომპენსირებისთვის ჩართულია კატიონები. ცეოლითების ზოგადი შემადგენლობა შეიძლება ასე ჩაიწეროს:



სადაც n, x, y, და z-ის მნიშვნელობებს განაპირობებს სინთეზის მეთოდი და ცეოლითის სტრუქტურა.

ცეოლითების შემადგენლობის შესწავლისას დადგინდა, რომ შეუძლებელია Al-O-Al ბმების წარმოქმნა ორ მომიჯნავე  $[AlO_4]$  ტეტრაედრს შორის, ამიტომ თანაფარდობა Si/Al არ შეიძლება იყოს 1-ზე ნაკლები. ეს პრინციპი ცნობილია, როგორც ლოვენშტეინის წესი (LonwvNsrBrN et al., n.d.).

ამჟამად კარკასის სიმკვრივე (FD - framework density, T - ატომების რაოდენობა 1000 Å<sup>3</sup>) გამოიყენება ცეოლითებისა და მათი მსგავსი მასალების გასარჩევად უფრო მკვრივი ტექტოსილიკატებისგან. კარკასის მაქსიმალური სიმკვრივე FD ცეოლითებისათვის არის 21 T ატომი/1000 Å<sup>3</sup>, მაგალითად მორდენიტისთვის ის არის 17.0 T ატომი/1000 Å<sup>3</sup> (IZA).

ახალი მასალების მზარდი რაოდენობისა და მათი მსგავსი სტრუქტურის გამო, სხვადასხვა ცეოლითების კატეგორიზაციისა და დაჯგუფების საჭიროება გაჩნდა. ცეოლითების აღწერის სხვადასხვა გზა არსებობს. IUPAC-ის მიერ მიღებული ნომენკლატურა განსხვავდება ზემოთ წარმოდგენილი ფორმულისგან და ასე ჩაიწერება:

| სტუმრის შემადგენლობა | | მასპინძლის შემადგენლობა | <sub>n</sub> {მასპინძლის  
სტრუქტურა} <sub>p</sub> {forebis struqtura} -IZA-ს მიხედვით

ტერმინი „IZA“ არის შემოკლებული აღნიშვნა ცეოლითის საერთაშორისო ასოციაციის, (International Zeolite Association - IZA) რომელიც 1977 წელს დაარსდა. IZA აკონტროლებს ახალი მინერალებისა და მასალების აღმოჩენასა და სინთეზს, რათა მოხდეს ახალი ნაერთების კლასიფიცირება. აღმოჩენილი ცეოლითების ყველა ტიპი და მათთან დაკავშირებული მასალების სია ხელმისაწვდომია 2001 წლიდან IZA-ს ოფიციალურ საიტზე [www.iza-online.org](http://www.iza-online.org). ამჟამად მიღებულია ასობით სტრუქტურული კოდი. ამ ნომენკლატურის ერთ-ერთი მაგალითია:


| (Na<sub>2</sub>, Ca, K<sub>2</sub>)<sub>4</sub>(H<sub>2</sub>O)<sub>28</sub> | [Al<sub>8</sub>Si<sub>40</sub>O<sub>96</sub>] – IZA

ცეოლითების ძირითადი კლასიფიკაცია ხდება მათი მიკროფორებისა და არხების სისტემის მიხედვით. ისინი შეიძლება დაიყოს მცირე, საშუალო, დიდი და განსაკუთრებულად დიდი ფორების მქონე ცეოლითებად (ცხრილი 1.4).

ცხრილი 1.4. ცეოლიტების კლასიფიკაცია ფორების ზომის მიხედვით

ფორის ზომა	ტეტრაედრების რიცხვი	ფორის დიამეტრი Å	მაგალითი
პატარა	8	4	PST-1
საშუალო	10	5.5	ZSM-5
დიდი	12	7.5	ZSM-12
განსაკუთრებით დიდი	>12	>7.5	CIT-5

წარმოვადგინოთ ცეოლიტის შემადგენლობა შემდეგი ზოგადი ფორმულით:  $M_x/n[(AlO_2)_x(SiO_2)_y]zH_2O$ , სადაც  $n$  არის  $M$  მეტალის კატიონის მუხტი, ხოლო  $x, y$  და  $z$  მნიშვნელობები დამოკიდებულია ცეოლიტის ტიპზე. მაგალითად  $NaA$  ცეოლიტის, რომელიც ასევე ცნობილია როგორც LTA (Lined Type A), შესაბამისი ფორმულაა  $Na_{12}[(AlO_2)_{12}(SiO_2)_{12}] \cdot 27H_2O$ , რაც გულისხმობს რომ ცეოლიტს აქვს 12 ტეტრაედრი თითოეულ უჯრედულ ერთეულში, რომელიც დაკავებულია 12 Na ატომით და 27 წყლის მოლეკულით. X და Y ცეოლიტები მიეკუთვნებიან ფოჯაზიტის (FAU), ფოჯაზიტი-Na, ფოჯაზიტი-Mg ან ფოჯაზიტი-Ca ჯგუფებს, მათ აქვთ იგივე ძირითადი ფორმულა:  $(Na_2, Ca, Mg)_{3.5}[Al_7Si_{17}O_{48}] \cdot 32(H_2O)$ . აღნიშნული სამი ტიპის ცეოლიტის სტრუქტურები წარმოდგენილია ( სურ. 1.5).




სურ. 1.5. სამი ცეოლიტის სტრუქტურული ერთეულისა და ფორების მაგალითი; ცეოლითი-A (LTA), სოდალიტი (SOD) და ფოჯაზიტი (FAU) - ცეოლიტები X,Y.

#### 1.4.1. მორდენიტის სტრუქტურა, კატიონების ლოკალიზაცია

სახელი მორდენიტი მომდინარეობს იმ ქალაქის სახელწოდებიდან, სადაც აღმოჩენილია მისი საბადოები (Morden, Nova Scotia, Canada) (“Zeolites in Industrial Separation and Catalysis,” 2010). ის ერთ-ერთია იმ ექვსი ყველაზე გავრცელებული ცეოლიტისაგან, რომელიც ფართოდ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის (Nag et al., 2022).

მორდენიტი გაამოირჩევა რთული სტრუქტურით. კარკასს აქვს რომბული ფორმა, რომლის ჩარჩოც ასე აღიწერება:  $a=18.11$ ,  $b=20.53$  და  $c=7.528$  Å (IZA, 2023). მისი ელემენტარული უჯრედი შეიცავს 97 ტუტე მეტალის ატომს (სურ. 1.6).



სურ. 1.6. მორდენიტის კრისტალური სტრუქტურა, (ა) - კრისტალური უჯრედი; (ბ) - კრისტალური სტრუქტურა (IZA,2023).

ბუნებრივ მორდენიტს აქვს სილიციუმის მაღალი შემცველობა, Si/Al თანაფარდობა უდრის 5-ს, ხოლო სინთეზური ფორმებისათვის თანაფარდობა Si/Al მერყეობს 4-დან 12-მდე ზღვრებში. მორდენიტი შედგება ხუთი რგოლისაგან, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან და ქმნიან სამგანზომილებიან სტრუქტურას. ჩარჩოებს ქმნის ერთგანზომილებიანი არხების სისტემა, არხები შექმნილია 12 და 8 რგოლისაგან. 12 რგოლიანი არხის დიამეტრია 0,7 x 0,65 ნმ, ხოლო 8 რგოლიანი არხების შემთხვევაში 0.57x 0.26 ნმ (Masters & Maschmeyer, 2011). სურ. 1.6-ზე ნაჩვენებია რვაწევრიანი რგოლებისგან შექმნილ არხებში წარმოდგენილი შემდეგი კატიონები:  $Ca^{2+}$  (წითელი),  $Na^+$  (ყვითელი) და  $K^+$  (იისფერი). წყლის მოლეკულები იმყოფება 12 რგოლიან არხებში(IZA, 2023).

მორდენიტი მიეკუთვნება ჰიდროთერმული პროცესების პროდუქტს, გვხვდება ვუკალკანურ და გრანიტის ქანებში. ასევე ის არის სილიციუმის ტუფის დიაგენეზის პროდუქტი. ხშირად გვხვდება სხვადასხვა ცეოლითებთან ერთად როგორცაა ანალციმი, ერიონიტი, კლინოპტილოლითი ან შაბაზიტი, კრისტალდება სტილბიტთან და ჰეილანდიტთან ერთად (Korkuna et al., 2006). მორდენიტის

საბადოები აღმოჩენილია ფუნდის ყურის სანაპიროზე, ქალაქ მორდენის აღმოსავლეთით (კონგის საგრაფოში, ნოვა შოტლანდია, კანადა). მორდენიტის საბადოები გვხვდება აშშ-ში, საბერძნეთში, იაპონიაში, ჩილეში, ახალ ზელანდიაში, ავსტრიაში, იტალიაში, უკრაინასა და ბულგარეთში (IZA,2023; (Korkuna et al., 2006).

Si/Al მაღალი თანაფარდობის გამო გამოირჩევა მაღალი მჟავამდეგობით და თერმოდგრადობით. ამიტომ მას ფართო გამოყენება აქვს, გარდა სოფლის მეურნეობისა და მშენებლობისა, როგორც სორბენტებს და მოლეკულურ საცრებს, კატალიზატორებს და იონმიმოცველებს.

მაღალი იონმიმოცვლითი უნარის გამო ბოლო წლებში ინტენსიურად ტარდება მორდენიტის სორბციული თვისებების შესწავლა წყლიდან მძიმე მეტალების მოცილების მიზნით.

მორდენიტის ზოგიერთ კრისტალურ ფორმას აქვს ბოჭკოვანი სტრუქტურა და შესაძლოა სიცოცხლისთვის საშიში იყოს, აზბესტისა და ერიონიტის მსგავსად. ეს დაადასტურა 1999 წელს სტეფენსონის ჯგუფის კვლევამ. მორდენიტის გამოყენებამდე მნიშვნელოვანია მისი კრისტალური შემადგენლობის ანალიზი. ყველა ბოჭკოვანი ცეოლითის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვით (ძირითადად სასუნთქ გზებთან დაკავშირებით), მათი მოპოვებისა და დამუშავების დროს.

#### 1.4.2 ბუნებრივი ცეოლითების მოდიფიცირების მეთოდები

უახლეს კვლევებში დიდ ინტერესით სარგებლობს, ბუნებრივი ცეოლითების სხვადასხვა მეთოდით მოდიფიცირება(Irannajad & Kamran Haghghi, 2021; Reeve & Fallowfield, 2018). მოდიფიცირება აშორებს მინარევებს, აუმჯობესებს სტრუქტურულ თვისებებს და ზრდის კავშირს კატიონებთან. ამჟამად ლიტერატურაში მოხსენიებული ძირითადი მოდიფიცირების მეთოდებია: მჟავით დამუშავება, ჰიდროქსიდით დამუშავება და მარილით დამუშავება, ისინი იწვევს მორდენიტის სტრუქტურის ცვლილებას (ზედაპირის ფართობი, მოკრიფირიანობისა და ფორების ზომის ზრდა).

მჟავით, ჰიდროქსიდით ან მარილით დამუშავებულ ბუნებრივ ცეოლითებს აქვთ უკეთესი ადსორბციული თვისებები(Sherman, 1999). მოდიფიცირების პროცესი მარტივი შესასრულებელია, თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მჟავის, ჰიდროქსიდისა ან მარილის ჭარბმა კონცენტრაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცეოლითის კრისტალურ თვისებებზე და შედეგად, შეამციროს ადსორბციის უნარი(Margeta et al., 2013). მჟავით მოდიფიცირება აშორებს ბუნებრივ ცეოლითს

მინარევებს და კარკასში არსებულ მეტალის კატიონებს ანაცვლებს  $H^+$  (Öztaş et al., 2008). მჟავით მოდიფიცირება წარმოქმნის უფრო მეტ ხელმისაწვდომ ადსორბციულ ადგილს ცეოლითებში და იწვევს ზედაპირის ფართობს და ფორიანობას (Castaldi et al., 2008). უფრო მეტიც, ის ზრდის Si/Al თანაფარდობას დეალუმინირების პროცესის გამო.

HCl არის ყველაზე ხშირად გამოყენებული მჟავა მოდიფიცირებისას. ბუნებრივი კლინოპთილოლითის ზედაპირის ფართობის მნიშვნელოვანი ზრდა (13 მ<sup>2</sup>/გ-დან 78 მ<sup>2</sup>/გ-მდე) დაფიქსირდა 2M HCl-ით მოდიფიცირებისას (Sprynsky et al., 2006). აღმოჩნდა, რომ ადსორბციული პროცესებისთვის, მჟავით მოდიფიცირება უკეთესია, დანარჩენ მეთოდებთან შედარებით.


ცეოლითების ჰიდროქსიდითა და მარილით მოდიფიცირება ნაკლებადაა შესწავლილი. ტუტით დამუშავებამ, შესაძლოა ცეოლითის კარკასიდან გამოიტანოს სილიციუმი და შედეგად შემცირდეს Si/Al თანაფარდობა. გარდა ამისა, pH-ის ძალიან მაღალმა მნიშვნელობამ, შეიძლება გამოიწვიოს კრისტალური სტრუქტურის ამორფიზაცია (Shi et al., 2018).

მარილით მოდიფიცირებას, შეუძლია ცეოლითის სტრუქტურიდან მოაშოროს წყალი ან არაორგანული მინარევები, სტრუქტურის შიგნით იონმიმოცვლის ხარჯზე. მარილით მოდიფიცირების, მთავარ მინუსს წარმოადგენს, მარილის, როგორც რეაქტივის მაღალი ღირებულება (Liu et al., 2022).

ტუტითა და მარილით მოდიფიცირებისას, ყველაზე ხშირად გამოიყენება: NaCl, Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub> და NaOH. ისინი გარდაქმნიან ბუნებრივ ცეოლითს, ნატრიუმის მიმოცვლით ფორმაში. NaOH-ით მოდიფიცირებამ გამოიწვია, კლინოპთილოლითის ზედაპირის ფართობისა და იონმიმოცვლის უნარის ზრდა (Lin et al., 2015).


#### 1.4.3. მძიმე მეტალების ადსორბცია ცეოლითების მეშვეობით

მძიმე მეტალების ადსორბციისთვის ცეოლითებს ხშირად იყენებენ. ადსორბციის პროცესის ზოგადი სქემატური გამოსახულება ნაჩვენებია სურ. 1.7-ზე. ცეოლითები ავლენენ სხვადასხვა ადსორბციულ შესაძლებლობებს მძიმე მეტალების იონების მიმართ.



სურ. 1.7 ადსორბციის პროცესის ძირითადი ტერმინები(Krishna et al., 2023).

ცეოლითისა და ადსორბატის ურთიერთქმედების შედეგად ადსორბცია მრავალი სხვადასხვა მექანიზმით შეიძლება წარიმართოს, მათ შორისაა: ზედაპირული ადსორბცია, იონმიმოცვლა, ელექტროსტატიკური ურთიერთქმედება, დიფუზია, წყალბადური ბმის წარმოქმნა, კომპლექსწარმოქმნა და სხვა. ცეოლიტებს აქვთ თანდაყოლილი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ეფექტურობას. დადებით შედეგს, სწორედ მათი კრისტალური, მაკროფოროვანი, ალუმინოსილიკატური სტრუქტურა განაპირობებს როგორც ნაჩვენებია სურ. 1.8-ზე. როგორც ზევით აღინიშნა, ცეოლიტების კარკასი შედგენა  $TO_4$  ტეტრაედრებისგან, T-როგორც წესი, წარმოადგენს სილიციუმის ან ალუმინის ატომებს. ტეტრაედრში კოორდინირებული ალუმინის ატომები ქმნიან უარყოფით მუხტს, რომელიც დაბალანსებულია კარკასის გარეთ არსებული კატიონებით. ეს კატიონები შეიძლება იყოს ორგანული, არაორგანული ან სხვა მეტალის იონი. ეს კატიონები, როგორც წესი, განლაგებულია ცეოლიტის კარკასის ფორებსა და ღრუებში. მეტალის კატიონები, ხშირად ჰიდრატირებული სახითაა(Pérez-Botella et al., 2022).



სურ. 1.8  $Cd^{2+}$  და  $Pb^{2+}$  იონების ადსორბცია ბუნებრივ ცეოლიტზე (Kumara & Kawamoto, 2021).

მეტალის ჰიდროლიზისადმი მიდრეკილება განსაზღვრავს მეტალის სორბციის სელექტიურობასა და თანმიმდევრობას,  $Pb^{2+}$  აჩვენებს ჰიდროლიზის უფრო მაღალ ტენდენციას  $Cd^{2+}$  -თან შედარებით (Kumara & Kawamoto, 2021). ბუნებრივი ცეოლიტები წარმოადგენს მძიმე მეტალების შეწოვის ეკონომიურ ალტერნატივას. თუმცა, ცეოლიტების მიერ მძიმე მეტალების ადსორბციის მექანიზმი კარგად არ არის გაანალიზებული (Chao & Chen, 2012). როგორც წესი, ადსორბციის მექანიზმის გაანალიზება ხდება ადსორბციის იზოთერმებისა და კინეტიკის მოდელირებით. ეს ყველაფერი წარმოადგენს ადსორბციის პირობით შეფასებას, რასაც არ შეუძლია ადეკვატური განსხვავების პოვნა სხვადასხვა მეტალების ადსორბციულ შესაძლებლობებზე.

## თავი II. მასალა და მეთოდები

ამ თავში მოცემულია რეაქტივებისა და ძირითადი მოწყობილობების აღწერა, რომლებიც გამოიყენება მძიმე მეტალების ადსორბციის კვლევაში, ქართული ბუნებრივი და მოდიფიცირებული მორდენიტის, როგორც ადსორბენტის გამოყენებით. თავდაპირველად ხდება მორდენიტის მომზადება, მის გამოყენებამდე.

### 2.1 მორდენიტის მომზადება

მორდენიტი, ცეოლითის ერთ-ერთი სახეობა, შეირჩა მაღალი იონმიმოცვითი უნარის, მაღალი ზედაპირული ფართობის, დაბალი Si/Al თანაფარდობის, თერმოდგრადობისა და მჟავამედეგობის გამო. რატევანის საბადოს მორდენიტი ჩაირეცხა გამოხდილი წყლით და გაშრა 105 °C ტემპერატურაზე, შემდეგ კი გატარდა ლაბორატორიულ დასაპუდრ ჭიქებში, მივიღეთ მორდენიტი ზომით 75 მიკრონი. მიღებული ერთგვაროვანი მორდენიტის პუდრა. ნიმუშის ნაწილი სამჯერადად დამუშავდა მარილმჟავას მზარდი კონცენტრაციებით (1N, 2N, 3N) წყლის აბაზანაზე. თითოეული დამუშავების ხანგრძლივობაა ერთი საათი. თანაფარდობა ცეოლითი:მჟავა 1:10. დამუშავებული მორდენიტი ირეცხებოდა გამოხდილი წყლით ქლორ-იონზე უარყოფით რეაქციამდე. მიღებული ნიმუში შრებოდა 105 °C. MOR-OH ფორმის მისაღებად საწყისი, ჩარეცხილი ნიმუში სამჯერადად დამუშავდა ნატრიუმისა და კალიუმის ტუტეების ნარევის (1:1 თანაფარდობით) მზარდი კონცენტრაციებით (1N, 2N, 3N). თითოეული დამუშავების ხანგრძლივობა შეადგენდა ერთ საათს. თანაფარდობა ცეოლითი:ტუტე 1:10. დამუშავებული მორდენიტი ირეცხებოდა გამოხდილი წყლით pH-ის ნეიტრალურ არემდე და შრებოდა 105 °C.

მიღებული ერთგვაროვანი მორდენიტის საწყისი და მოდიფიცირებული ფორმების პუდრა ინახებოდა ჰერმეტიკულ პლასტმასის კონტეინერში ყველა ექსპერიმენტისთვის.

#### 2.1.1 მეტალის მოდელური ხსნარების მომზადება

ყველა ექსპერიმენტისათვის გამოყენებულია ქიმიურად სუფთა რეაქტივები. ტყვიის (II), კადმიუმის (II), თუთიისა(II) და ქრომის (VI) (1000 მგ/ლ) მოდელური ხსნარები მომზადდა გამოხდილი წყლის მატრიცაში, შესაბამისად ტყვიის ნიტრატის, კადმიუმის ქლორიდის, თუთიის ნიტრატისა და კალიუმის დიქრომატის გამოყენებით შესაბამისად. ყველა სამუშაო ხსნარი მზადდებოდა ძირითადი ხსნარის ეტაპობრივი გაზავებით, 5-დან 200 მგ/ლ-მდე. pH-ის კორექტირება ხდებოდა 0.1 M მარილმჟავას ან 0.1 M ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარებით.

#### 2.1.2 მეტალების განსაზღვრა

**ატომურ ადსორბციული სპექტრომეტრი (AAS)** ძალიან პოპულარულია მეტალების განსაზღვრისათვის, მისი დაბალი ღირებულებისა და მარტივი, სწრაფი გამოყენების გამო. ის საშუალებას იძლევა განისაზღვროს მეტალები სხვადასხვა

ნიმუშებში პიკოგრამის დონეზე. ატომური სპექტროსკოპიით ისაზღვრება ელემენტის შემადგენლობა მისი ელექტრომაგნიტური ან მასის სპექტრით. გარდა ამისა, სპექტროსკოპია არის ატომების ან მოლეკულების მიერ ელექტრომაგნიტური გამოსხივების შთანთქმის, ემისიის ან გაფანტვის გამოყენება, ატომების ან მოლეკულების თვისობრივი ან რაოდენობრივი შესწავლისათვის (Nuhu Aliyu & Gambo Idris, 2021).

ჩვენ შემთხვევაში გამოყენებული იყო Perkin Elmer-ის ფირმის ატომურ ადსორბციული სპექტრომეტრი A Analyst 200.

